



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



წინამდებარე ბროშურა გამოცემულია ასოციაცია "იმერეთი"-სა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ევროპა ჩვენი სახლია"-ს მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSR DG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

ეს ბროშურა შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ასოციაცია "იმერეთი" და არასამთავრობო ორგანიზაცია "ევროპა ჩვენი სახლია" და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ.ქუთაისი ზ. გამსახურდიას #58

e-mail: tsega.imereti@gmail.com

Facebook: თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია „იმერეთი“

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და რეგიონული განვითარების საკითხების მონიტორინგი და ადვოკატირება

კვლევის ანბარიში

პროექტი:

«სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, გარემოს დაცვა ჩვენი მოვალეობა»



წყალტუბოსა და ხონის რაიონებში ჩატარებული ნარჩენების მართვის სისტემის მონიტორინგის ანალიზი

2019 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში ასოციაცია "იმერეთი"-სა და ააიპ "ევროპა ჩვენი სახლია"-ს მიერ, "ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების შეთანხმებისა და რეგიონული განვითარების საკითხების მონიტორინგი და ადვოკატირება"-ს ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, გარემოს დაცვა ჩვენი მოვალეობა“-ს პროექტის მიმდინარეობისას წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმისა და სისტემის მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა:

- არსებული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების შეგროვების სისტემის მონიტორინგი;
- არალეგალური ნაგავსაყრელების აღმოჩენა და მონიტორინგი;
- ნარჩენების შეგროვების კონტეინერების ადგილმდებარეობის, მათი მდგომარეობისა და დაცლის ინტენსივობის მონიტორინგი;
- მოსახლეობის დამოკიდებულებისა და თვითშეგნების შეფასება/მონიტორინგი;



კავშირი ასოციირების შეთანხმებასთან / რეგიონული განვითარების გეგმებთან

პროექტით განსაზღვრული პრობლემა პირდაპირ უკავშირდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებსა და რეგიონული განვითარების გეგმებს. ევროკავშირთან საქართველოს ასოციირების ხელშეკრულებაში გარემოსდაცვითი მმართველობის კომპონენტი ითვალისწინებს ნარჩენების ეფექტური მართვის სისტემის და ნაგავსაყრელების მოწესრიგებას (მოწყობა, ოპერირება, დახურვა და შემდგომი მოვლა) და მკაცრად მოითხოვს, რომ ეს საკითხი რეგულირებული იყოს საქართველოს კანონმდებლობით. ასოციირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში მოიცავს ხელშეკრულების როგორც პრეამბულა, ისე ძირითად ტექსტში: კარი - I-VIII თავები გარემოსდაცვა - კარი IV დაკარი VI; - თავი 3 და თავი 4 (კარი VI)- მუხლები 301-312; დანართები XXVI და XXVII; (ნარჩენების დირექტივა (2008/98/EC), ნაგავსაყრელების დირექტივა (1999/31/EC)). აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”, მისგან გამომდინარე მიღებული იქნა კანონქვემდებარე აქტები:

1. „ნარჩენებისმართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
2. ტექნიკური რეგლამენტის – „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე;

3. „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;

აღნიშნული საკანანმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით, ნარჩენების მართვის კომპონენტში, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მუნიციპალურ დონეზე ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობებს.

ასევე პროექტი ემსახურება რეგიონული განვითარების გეგმებით გათვალისწინებული საკითხების პრიორიტეტების მონიტორინგს და ადვოკატირებას. კერძოდ, იმერეთის რეგიონის განვითარების 2014–2021 წლების სტრატეგიას.

არსებული სიტუაცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა 4 გასვლა და საერთო ჯამში ჯგუფმა ჩაატარა მონიტორინგი ქალაქ წყალტუბოსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 11 სოფელში. მონიტორინგის პროცესში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, მათი ნარჩენების შეგროვების სისტემის მდგომარეობასთან დამოკიდებულების შესავლის მიზნით. პარალელურად ხდებოდა არსებული კონტეინერული სისტემის მდგომარეობის შესწავლა და უნებართვო ნაგავსაყრელების იდენტიფიცირება. მონიტორინგი ჩატარდა ნარჩენების გატანის ინტენსიურობას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა:

- ნარჩენების შეგროვების კონტეინერების რაოდენობა და მდგომარეობა არ არის საკმარისი და დამაკმაყოფილებელი,

უმეტესობა კონტეინერებისა დაზიანებულია, მათი განთავსების ადგილი არ არის ოპტიმალური.

- ნარჩენების გატანის ინტენსივობა (გარდა ქალაქ წყალტუბოსი) არ შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულს, ნაცვლად იმისა, რომ მინიმუმ კვირაში 3-ჯერ გაიტანონ ნარჩენები, ხშირია შემთხვევები, როცა ნარჩენების გატანა არ ხორციელდება კვირების მანძილზე.

- კონტეინერების განთავსების არაოპტიმალურობის გამო, მოსახლეობის მიერ ხშირია როგორც ნარჩენების გადაყრის ფაქტები გარემოში (ხევებში, მდინარის პირას, გზის გასწვრივ მდებარე ბუჩქნარებსა და ტყის ზოლში), ასევე მათი უკონტროლო წვა.

- არ არსებობს არანაირი კონტროლი ნარჩენების უკანონო გადაყრასთან/დაწვასთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

- არ მოქმედებს არანაირი ადმინისტრაციული მექანიზმი კანონდამრღვევთა გასაფრხილებლად ან დასასჯელად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ადმინისტრაციული სასჯელი ნარჩენების უკანონო გადაყრასთან/დაწვასთან დაკავშირებით.

- დაბალია მოსახლეობის თვითშეგნების დონე ნარჩენების არასათანადო მართვისაგან გარემოზე და ცოცხალ ბუნებაზე მიყენებული ზიანის შესახებ.

- დაბალია მათი ინფორმირებულობის დონე ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის შესახებ.



ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა 4 გასვლა და საერთო ჯამში და საერთო ჯამში ჯგუფმა ჩაატარა მონიტორინგი ქალაქ ხონსა და ხონის მუნიციპალიტეტის 22 სოფელში. მონიტორინგის პროცესში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, მათი ნარჩენების შეგროვების სისტემის მდგომარეობასთან დამოკიდებულების შესავლის მიზნით. პარალელურად ხდებოდა არსებული კონტეინერული სისტემის მდგომარეობის შესწავლა და უნებართვო ნაგავსაყრელების იდენტიფიცირება. მონიტორინგი ჩატარდა ნარჩენების გატანის ინტენსიურობას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა:

- ნარჩენების შეგროვების კონტეინერი არ დგას მუნიციპალიტეტის ზოგიერთ თემში (დედალაური, მემილეთი, გოჩა ჯიხაიში);
- ნარჩენების შეგროვების კონტეინერების მდგომარეობა და რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი, არის დაზიანებული კონტეინერები, მათი განთავსების ადგილი ზოგიერთ შემთხვევაში არაა ოპტიმალური.
- ნარჩენების გატანის ინტენსივობა ზოგიერთ სოფელში არ შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულს, ხშირია ნარჩენების გატანა დაგვიანებით, თუმცა გატანა ხორციელდება მინიმუმ კვირაში ერთხელ.
- კონტეინერების განთავსების არაოპტიმალურობის გამო, ხშირია მოსახლეობის მიერ ნარჩენების გადაყრის ფაქტები გარემოში (ხევებში, მდინარის პირას, გზის გასწვრივ მდებარე ბუჩქნარებსა და ტყის ზოლში) და ნარჩენების უკონტროლო წვა.

- არ მოქმედებს არანაირი ადმინისტრაციული მექანიზმი კანონდამრღვევთა გასაფრხილებლად ან დასასჯელად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ადმინისტრაციული სასჯელი ნარჩენების უკანონო გადაყრასთან/დაწვასთან დაკავშირებით.
- დაბალია მოსახლეობის თვითშეგნების დონე ნარჩენების არასათანადო მართვისაგან გარემოზე და ცოცხალ ბუნებაზე მიყენებული ზიანის შესახებ.
- დაბალია მათი ინფორმირებულობის დონე ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის შესახებ.



